

# შესავალი

წინამდებარე პროზენტაცია არის ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და ბანკთაშორისი ფინანსური ბაზრის სხვა ოპერაციების მოკლე აღწერილობა

პროზენტაცია მხოლოდ საცნობარო ხასიათისაა, ბიზნეს საქმიანობაში გამოყენებისათვის უნდა იხელმძღვანელოთ შესაბამისი ნორმატიული აქტებით

საქართველოს ეროვნული ბანკი  
თბილისი, 2011

## ❑ სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტები

- ❑ სადეპოზიტო სერთიფიკატები
- ❑ ერთდღიანი დეპოზიტები
- ❑ ერთდღიანი სესხები
- ❑ რეფინანსირების სესხები
- ❑ მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი
- ❑ დღის შიდა სესხი
- ❑ ბოლო ინსტანციის სესხი
- ❑ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

## ❑ ბანკთაშორისი მეორადი ვაჭრობა

### ❑ რეპო ოპერაციები

### ❑ სავალუტო ბაზარი: სპოტი, ფორვარდი

# სებ-ის ოპერაციების ძირითადი პრინციპები

- ❑ **რეგულაცია:** ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლები 27-34 [http://www.nbg.ge/uploads/legalacts/nbglow/new/organic\\_low\\_nbg.pdf](http://www.nbg.ge/uploads/legalacts/nbglow/new/organic_low_nbg.pdf)
- ❑ **მონეტარული ოპერაციების ვალუტა:** ლარი
- ❑ **სესხების სახეობა:** უზუნველყოფილი, გარდა ბოლო ინსტანციის სესხებისა
- ❑ **გირაოს სახეობა:** სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები)
- ❑ **სესხის გაცემა:** აუქციონი, გარდა მუდმივმოქმედი და ბოლო ინსტანციის სესხებისა
- ❑ **სავაჭრო პლატფორმა:** Bloomberg ელექტრონული სავაჭრო სისტემა, სპეციალური ინტერფეისით დაკავშირებული ანგარიშწორების სისტემებთან
  - ❑ ერთდღიანი სესხი: STP პროცესი, 2011 წლის მაისიდან
  - ❑ რეფინანსირების სესხების აუქციონი: შედეგების ავტომატური იმპორტი CSD სისტემაში დადასტურებით, მოქმედებს 2011 წლის აპრილიდან
  - ❑ სავალუტო აუქციონი: 2011 წლის სექტემბრიდან გათვალისწინებულია შედეგების ავტომატური იმპორტი ALTA და RTGS სისტემაში, შესაძლებელია STP პროცესი
  - ❑ სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონი: DvP ტრანზაქცია, შედეგების ავტომატური იმპორტი CSD სისტემაში დადასტურებით 2011 წლის ივნისიდან
  - ❑ ფასიანი ქაღალდების მეორადი ვაჭრობა: DvP ტრანზაქცია, STP პროცესი, 2010 წლის დეკემბრიდან

# სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები (CD)

- ❑ სახეობა: მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი
- ❑ დანიშნულება: სისტემიდან ჭარბი ფულის ამოღება
- ❑ რეგულაცია: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 12  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ ვადიანობა: 3 თვე და 6 თვე
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ გამოშვების პერიოდულობა: ყოველკვირეულად, ოთხშაბათობით, 11 საათზე
- ❑ პირველადი ბაზარი: სებ-ის აუქციონი Bloomberg სისტემაში
- ❑ შემოსავლიანობის განსაზღვრა: აუქციონზე მრავალი ფასის მეთოდით
- ❑ რეგისტრაცია-ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: CSD სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით, ავტომატიზირებული DVP ტრანზაქცია, STP
- ❑ გირად გამოყენების შესაძლებლობა: სებ-თან და სხვა მონაწილეებთან CSD სისტემის მეშვეობით, ყოველდღიურად 17:40 საათამდე
- ❑ გამოყენების სხვა შესაძლებლობები: რეპო ოპერაციები და ბანკთაშორისი ყიდვა-გაყიდვა

# ერთდღიანი დეპოზიტები

- ❑ დანიშნულება: კომერციული ბანკებიდან ერთდღიანი ჭარბი ლიკვიდობის ამოღება და ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირება
- ❑ რეგულაცია: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 11  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ ვადიანობა: ერთი დღე
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ საპროცენტო განაკვეთი: საჯარიმო (საბაზროზე დაბალი), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.5 პროცენტული პუნქტი.
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: RTGS სისტემა
- ❑ განთავსება: STP პროცესი, დეპოზიტის თანხა განისაზღვრება და იმართება თვით კომერციული ბანკი მიერ წინასწარი შეტყობინების გარეშე
- ❑ განთავსების დრო: ყოველ სამუშაო დღეს 17:55 საათამდე
- ❑ დაბრუნება: STP პროცესი, მომდევნო სამუშაო დღის გახსნისთანავე 10:00 საათამდე

# ერთდღიანი სესხი

- ❑ **დანიშნულება:** კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი ლიკვიდობის მიწოდება და ბანკთაშორის ფულად ბაზრზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირება
- ❑ **რეგულაცია:** სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 10  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ **ვადიანობა:** ერთი დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- ❑ **მონაწილეები:** მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ **საპროცენტო განაკვეთი:** საჯარიმო (საბაზროზე მაღალი), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1.5 პროცენტული პუნქტი.
- ❑ **სესხის აღების დრო:** ყოველდღიურად 9:40 საათიდან 17:40 საათამდე
- ❑ **სესხის განაცხადი:** ელექტრონული საშუალებით CSD სისტემის მეშვეობით
- ❑ **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა:** CSD სისტემა და RTGS სისტემა, STP პროცესი
- ❑ **სესხის დაფარვა:** STP პროცესი, მომდევნო სამუშაო დღის გახსნისთანავე
- ❑ **გირაოს რეგისტრაცია:** CSD სისტემაში, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ **გირაოს სახეობა:** სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები)

# რეფინანსირების სესხი

- ❑ **დანიშნულება:** კომერციული ბანკებისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება და ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა
- ❑ **რეგულაცია:** სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 8  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ **ვადიანობა:** 7 დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- ❑ **მონაწილეები:** მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ **საპროცენტო განაკვეთი:** დგინდება აუქციონზე მრავალი ფასის მეთოდით
- ❑ **სესხის გაცემა:** აუქციონის მეშვეობით, Bloomberg სისიტემაში
- ❑ **სესხის აუქციონის დრო:** ყოველ ხუთშაბათს 11:00 საათზე
- ❑ **სესხის განაცხადი:** ელექტრონული საშუალებით CSD სისტემის მეშვეობით
- ❑ **ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა:** CSD სისტემის ინიცირებით RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ **სესხის დაფარვა:** ავტომატიზირებული პროცესი, სესხის დაფარვის დღეს არაუგვიანეს 16:15 საათისა
- ❑ **გირაოს რეგისტრაცია:** CSD სისტემაში, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ **გირაოს სახეობა:** სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები)

# მულტივმოქმედი რეფინანსირების სესხი

- ❑ დანიშნულება: რეფინანსირების სესხების აუქციონთან შედარებით, კომერციული ბანკებისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის გარანტირებული მიღების საშუალება
- ❑ რეგულაცია: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 8  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ ვალიანობა: 7 დღე, უზრუნველყოფილი სესხი
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ საპროცენტო განაკვეთი: მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1%
- ❑ სესხის აღების დრო: ყოველ ხუთშაბათს 16:15 საათამდე
- ❑ სესხის განაცხადი: ელექტრონული საშუალებით CSD სისტემის მეშვეობით
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: CSD სისტემის ინიცირებით RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი დადასტურებით
- ❑ სესხის დაფარვა: ავტომატიზირებული პროცესი, სესხის დაფარვის დღეს არაუგვიანეს 16:15 საათისა
- ❑ გირაოს რეგისტრაცია: CSD სისტემაში, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ გირაოს სახეობა: სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები)



# დღის შიდა სესხი

- ❑ დანიშნულება: კომერციული ბანკებისათვის დღის განმავლობაში ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი ლიკვიდობის მიწოდების საშუალება
- ❑ რეგულაცია: სებ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 9  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ ვადიანობა: სამუშაო დღის განმავლობაში
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ საპროცენტო განაკვეთი: 0%
- ❑ სესხის აღების შესაძლებლობა: ავტომატურად RTGS სისტემის მეშვეობით, ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში 17:55 საათამდე
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: RTGS სისტემა, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ სესხის დაფარვა: STP პროცესი RTGS სისტემაში
- ❑ გირაოს რეგისტრაცია: CSD სისტემაში, ავტომატიზირებული პროცესი
- ❑ გირაოს სახეობა: სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები)

# ბოლო ინსტანციის სესხი

- ❑ დანიშნულება: ლიკვიდობის პრობლების მქონე კომერციული ბანკისთვის საჭირო სახსრების მიწოდება
- ❑ რეგულაცია: საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისთვის სესხის გაცემის წესი
- ❑ სესხის გაცემის გადაწყვეტილება: სეზ-ის საბჭოს მიერ
- ❑ ვალიანობა: სტანდარტულად არაუმეტეს 3 თვისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულია იყო მეტი ვადა
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ საპროცენტო განაკვეთი: არანაკლები სეზ-ის ერთდღიან სესხზე დაწესებული პროცენტისა
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: RTGS სისტემა CSD სისტემაში სესხის ავტორიზაციის შემდეგ
- ❑ სესხის დაფარვა: ავტომატური პროცესი სესხის დაფარვის დღეს
- ❑ გირაოს რეგისტრაცია: CSD სისტემაში, სხვა აქტივების შემთხვევაში - ასეთი აქტივების რეგისტრაციაზე არსებული წესის მიხედვით
- ❑ გირაოს სახეობა: სეზ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები, კომერციული ბანკის სასესხო აქტივები (ამ ეტაპზე, ლარის იპოთეკური სესხები). ბოლო ინსტანციის სესხი შეიძლება იყოს არაუზრუნველყოფილი

# მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

- ❑ დანიშნულება: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა
- ❑ რეგულაცია: კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი  
<http://www.nbg.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/11.02.20111004.PDF>
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ სარეზერვო მოთხოვნები: ბანკების მოზიდულ სახსრებზე
- ❑ სარეზერვო ნორმა: ლარებში 10% და უცხოურ ვალუტაში 15%
- ❑ რეზერვების განთავსება: სებ-ში სპეციალურ ანგარიშებზე
- ❑ დაცვის პერიოდი: 14 დღე
- ❑ სავალდებულო რეზერვები ლარებში: მინიმუმ პერიოდის საშუალო თანხა ლარის საკორესპონდენტო ანგარიშზე სებ-ში
- ❑ სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში: ფიქსირებული თანხა სებ-ში სპეციალურ ანგარიშზე
- ❑ ლარების რეზერვების სარგებელი: სებ-ის საბაზრო (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი
- ❑ უცხოური ვალუტის რეზერვების სარგებელი: FED-სა და ECB-ის საბაზრო განაკვეთს მინუს 0.5%

# ბანკთაშორის მეორადი ვაჭრობა

- ❑ დანიშნულება: ფასინი ქაღალდების პირდაპირი ყიდვა-გაყიდვა ფასიანი ქაღალდების საინვესტიფიო პორტფელის შექმნის და/ან მიმდინარე ლიკვიდობის მართვის მიზნით
- ❑ მონაწილეები: ყველა კომერციული ბანკი
- ❑ ინსტრუმენტები: სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები
- ❑ გარიგებების სახეობა: პირდაპირი ყიდვა-გაყიდვა
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების CSD სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით
- ❑ სავაჭრო პლატფორმა: Bloomberg სავაჭრო სისტემაში 24/7 და/ან სხვა საშუალება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად
- ❑ გარიგება **Bloomberg**-ის სისტემაში : Bloomberg სისტემიდან გარიგება STP პროცესით იმპორტდება CSD სისტემაში არაუგვიანეს გარიგებიდან 15 წუთის განმავლობაში
- ❑ გარიგება **Bloomberg**-ის სისტემის გარეთ: მხარეები გარიგების მონაცემებს სტანდარტული ფორმატით თვითონ შეიტანენ CSD სისტემაში
- ❑ ტრანზაქციების დამუშავება: STP პროცესი, CSD სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით ახორციელებს DVP ტრანზაქციებს გარიგების ანგარიშსწორების დღეს
- ❑ ტრანზაქციების დამუშავების დრო: CSD სისტემაში ყოველ სამუშაო დღეს 09:40 საათიდან 17:40 საათამდე, ავტომატიზირებული პროცესი

# რეპო ოპერაციები

- ❑ დანიშნულება: კომერციული ბანკებს შორის გარანტირებული სესხება/გასესხების საშუალება
- ❑ მონაწილეები: კომერციული ბანკები
- ❑ ინსტრუმენტები: სებ-ის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, სახაზინო ობლიგაციები
- ❑ გარიგების სახეობა: რეპო ოპერაცია
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების CSD სისტემა RTGS სისტემის მხარდაჭერით
- ❑ სავაჭრო პლატფორმა: Bloomberg სავაჭრო სისტემაში 24/7 და/ან სხვა საშუალება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად
- ❑ გარიგება **Bloomberg**-ის სისტემაში: 2011 წლის ივნისიდან - Bloomberg სისტემიდან გარიგება STP პროცესით იმპორტდება CSD სისტემაში ყოველი 15 წუთის განმავლობაში
- ❑ გარიგება **Bloomberg**-ის სისტემის გარეთ: მხარეები გარიგების მონაცემებს სტანდარტული ფორმატით თვითონ შეიტანენ CSD სისტემაში
- ❑ პირველი ტრანზაქცია: STP პროცესი, რეპოს ანგარიშსწორების დღეს, სამუშაო დღის დაწყებისთანავე CSD სისტემა ავტომატურად ახორციელებს ტრანზაქციას
- ❑ დაფარვის ტრანზაქცია: STP პროცესი, რეპოს დაფარვის დღეს, სამუშაო დღის დაწყებისთანავე CSD სისტემა ავტომატურად ახორციელებს ტრანზაქციას
- ❑ რეპო ოპერაციების ტრანზაქციების დამუშავება: CSD სისტემაში ყოველ სამუშაო დღეს 09:40-დან 17:40-მდე

# სავალუტო ბაზარი: სპოტი

- ❑ დანიშნულება: ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი რყევების თავიდან აცილების მიზნით უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- ❑ რეგულაცია: სეზ-ის მონეტარული ოპერაციების დებულება, მუხლი 14  
<http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2011/1602010.16.12.PDF>
- ❑ ოპერაციების სახეობა: უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა
- ❑ მონაწილეები: მხოლოდ კომერციული ბანკები
- ❑ ბანკთაშორის ოპერაციის ფორმა: პირდაპირი გარიგება Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში შეზღუდვების გარეშე
- ❑ სეზ-ის ოპერაციის ფორმა: აუქციონი Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში
- ❑ აუქციონის გამოცხადების დრო: აუქციონამდე მინიმუმ 1 საათით ადრე
- ❑ აუქციონის ჩატარების დრო: სტანდარტულ შემთხვევაში 16:00 საათზე
- ❑ განაცხადის ზღვარი: მოქმედ ოფიციალურ გაცვლით კურსს პლიუს/მინუს 1%
- ❑ ანგარიშსწორება: აუქციონის მომდევნო სამუშაო დღეს (T+1),
- ❑ სავალუტო აუქციონის შედეგის დამუშავების STP პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს 2011 წლის სექტემბრის თვისთვის, რისთვისაც საჭიროა ALTA სისტემაში შესაბამისი მოდულის შემუშავება და ALTA-Bloomberg ინტერფეისის აწყობა

# სავალუტო ბაზარი: ფორვარდი

- ❑ დანიშნულება: კომერციული ბანკებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის სავალუტო რისკის ჰეჯირების საშუალება
- ❑ მონაწილეები: კომერციული ბანკები თავისი სახელით და/ან ექსპორტიორ/იმპორტიორი კომპანიების დავალებით
- ❑ ვალიანობები: ერთდღიანი, ერთკვირიანი, ორკვირიანი, ერთთვიანი, ორთვიანი, სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი
- ❑ ფასების კოტირება: ბანკის მიერ Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში
- ❑ სავაჭრო პლატფორმა: განვითარების ეტაპი, ბანკთაშორისი გარიგების დადების საშუალება შესაძლებელია Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში, სრულყოფის სამუშაოები განხორციელებადია 2011 წელს
- ❑ გამოყენება ექსპორტიორებისათვის: ლარის შესაძლო გამყარების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაცია
- ❑ გამოყენება იმპორტიორებისათვის: ლარის შესაძლო გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის მინიმიზაცია
- ❑ ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურა: ლარისათვის RTGS სისტემა; უცხოური ვალუტისათვის SWIFT სისტემა